სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/140

ქ. თბილისი

12 ივნისი 2019

სასწავლო პროცესის ზედამხედველობის სისტემის მართვისა და ექსპლუატაციის ჯგუფის გაუქმებისა და მულტიმედიური, საკონფერენციო და უსაფრთხოების სისტემების მართვისა და ექსპლუატაციის საუნივერსიტეტო ცენტრის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, რექტორის აპარატის უფროსის, დ. კუჭაიძის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივნისის №01-05-02/12 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. გაუქმდეს სტუ-ის სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტის სასწავლო პროცესის ზედამხედველობის სისტემის მართვისა და ექსპლუატაციის ჯგუფი;
2. შეიქმნას სტუ-ის დამხმარე სტრუქტურული ერთეული – მულტიმედიური, საკონფერენციო და უსაფრთხოების სისტემების მართვისა და ექსპლუატაციის საუნივერსიტეტო ცენტრი და დამტკიცდეს მისი დებულება;
3. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი), დაამტკიცოს აღნიშნული ცენტრი და მისი დებულება;
4. საკითხს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომაზე წარადგენს სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქ. ქოქრაშვილი;
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**